საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/05/2024
N 09-02-16/245

245-09-02-16-2-202405221602

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

ქალბატონო მაია,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1. სამინისტროს აუდიტის ან სხვა სამსახურების/დეპარტამენტების მიერ შესწავლილი იქნა თუ არა 2020 წლიდან დღემდე ს.ს.ი.პ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი"-ს საქმიანობა, მათ შორის შეესაბამება თუ არა საქართველოს შრომის კოდექსსა და სხვა ნორმატიულ აქტებს თეატრის მიერ გაფორმებული შრომის ხელშეკრულებები, ასევე რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი შრომის კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები. თუ არ მომხდარა შრომის ხელშეკრულებების საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა გთხოვთ დაიწყოთ ადმინისტრაციული წარმოება და შესწავლილი იქნას თეატრის მიერ გაფორმებული, მოქმედი შრომის ხელშეკრულებები, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ის არ შეესაბამება კანონმდებლობას, მათ შორის ზღუდავს კონსტიტუციით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას, ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ აუდიტის შედეგად შედგენილი აქტის ასლი;
2. 2024 წლის 23 აპრილს თეატრის მსახიობებმა გამოხატეს პოზიცია ,,რუსულ კანონთან" დაკავშირებით, რის შემდგომაც მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ მსახიობების მიმართ თეატრის ადმინისტრაციამ დაიწყო დისციპლინური წარმოება. გთხოვთ გვაცნობოთ რამდენად კანონიერად მოხდა დისციპლინური წარმოების დაწყება, ასევე შეისწავლოთ დისიცპლინური წარმოების დოკუმენტები, რამდენად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან;
3. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით „რუსულ კანონთან" და ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, სამოქალაქო პოზიციის გამო, ასევე გათავისუფლებული იქნენ სამსახურიდან სხვა თანამშრომლებიც, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, რაც საჭიროებს აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლას;
4. თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის(ნუკრი ქანთარია) დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა სამხატვრო ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების ზრდა. გთხოვთ გვაცნობოთ რის საფუძველზე მოხდა

ანაზღაურების ზრდა, რამდენი პროცენტით და პარალელურად, იმავე პროცენტით მოხდა თუ არა თეატრში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ზრდა, ასევე სხვა კულტურუს სფეროში დასაქმებული ხელმძღვანელების ხელფასის ზრდა?

5. გთხოვთ გვაცნობოთ 2023 წელს და 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გარდა ხელფასისა, რა ხარჯების ანაზღაურება მოუხდა თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელისათვის:
   ა) თეატრის/პერსონალური ავტომანქანის საწვავის ხარჯი:
   ბ) პერსონალური ავტომანქანის ექსპლუატაციის, შეკეთების ხარჯი:
   გ) პრემია, ბონუსი:
   დ) მივლინებაზე გაწეული ხარჯები:
   ე) წარმომადგენლობითი ხარჯები:
   ვ) საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯები:
   ზ) სხვა ნებისმიერი ხარჯი;
6. ჩვენს ხელთ არსებული იფნორმაციით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა კატეგორიული მოთხოვნით და მუქარით აიძულა თეატრის თანამშრომლები წასულიყვნენ 2024 წლის 29 აპრილს, ქართული ოცნების მიერ ორგანიზებულ აქციაზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა. აქციაზე წასვლაზე უარის თქმის გამო, თეატრის ერთერთი თანამშრომელი სამხატვრო ხელმძღვანელმა გაათავისუფლა სამსახურიდან. გთხოვთ შეისწავლოთ რამდენად ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი და იყო თუ არა დასაქმებული პირების აქციაზე წაყვანა ორგანიზებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ, ასევე მოგვაწოდოთ შესწავლის შედეგად შედგენილი დოკუმენტების ასლები, ასევე 2024 წლის 20 აპრილიდან 10 მაისამდე თეატრის ადმინისტრაციის მიერ დასაქმებულების გათავისუფლებაზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ასლები;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"